ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 158

“ 26 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ (ს/ნ. 405493194) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ და „დ.ზ“ ქვეპუნქტების, 127² მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის №25.2281.2561 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2025 წლის 30 აპრილს გაფორმებული შეთანხმების მე-3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებული „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულების“ 4.2.5 ქვეპუნქტის შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 34 500 (ოცდათოთხმეტი ათას

ხუთასი) ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ (ს/ნ. 405493194) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

დანართი

შეთანხმება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი ____ / _____ / 2025 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: სააგენტო), წარმოდგენილი [●]) მიერ;

მეორე მხრივ, შპს „კორტები“ (ს.კ.: 405493194, შემდგომში: მყიდველი) წარმოდგენილი [●]) მიერ, შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: მხარეები,

ვინაიდან, სააგენტოს მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-624-1-27208 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და მყიდველს შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულება“ (მასში 2023 წლის 10 ივლისს, 2025 წლის 30 აპრილსა და 2025 წლის 17 სექტემბერს შესული ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში: ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც მყიდველს საპრივატიზებო, საინვესტიციო და სხვა ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა 13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.10.16.004.282 (შემდგომში: ქონება);

ვინაიდან, მყიდველმა 2025 წლის 15 დეკემბრის №10/01253492944-61 განცხადებით, მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებითა ითხოვა ხელშეკრულების 3.2.1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული შუალედური ეტაპის გაუქმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის [____] №[_____] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის [____] №[_____] განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილებები და ამოღებულ იქნას ხელშეკრულების 3.2.1.3 და 3.2.5[1] ქვეპუნქტები;
2. გაუქმდეს ხელშეკრულების №1 („მოპირკეთების სამუშაოები“) და №2 („ესკიზი“) დანართები;
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
4. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება წინამდებარე შეთანხმებით, რჩება უცვლელი. წინამდებარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმებას.

5. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. შეთანხმების გაფორმებასთან და საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას უზრუნველყოფს მყიდველი.

7. წინამდებარე შეთანხმება, შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
[●]

_____

შპს „კორტები (ს.კ.: 405493194)
[●]

_____